პიონერი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის
საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 10 (315) გამოცემის მე-17 წელი
1973 წლის მაისი

19 მაისი ლენინის სახელობის ჰიმნური ორგანიზაციის დაბადების დღეა!

ჩვენი სასახლე

ყოველ დილით, როცა ჩვენი დედაქალაქის სისხლსავსე ცხოვრება იწყება, რუსთაველის გამზირზე ხეივანთან შენიშნავთ ალისფერყელსახვევიანი ჯოგო-ბიჭების გაცისკროვნებულ სახეებს: დედაქალაქის ყოველი კუთხიდან უწყვიტ ნაკადად მოეშურებიან ისინი აქ, პიონერ-მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში — ბედნიერებისა და სიხარულის სასახლეში...

სიყვარულით ეკიდება თავის პატრონებს სასახლე — უბერებელი და ძლიერი, სავსე ახალი აზრებითა და იდეებით, ეკიდება ყველას — ცოდნის წყურვილით, კეთილი სურვილით მოსულ პატარა თბილისელებს. განუწყვეტლივ იღება მუხის მძიმე კარი, მარმარილოს კიბეები ცოცხლდება ბავშვების ფეხის ხმით.

სასახლე არის ჩვენი მომავალი თაობის მიდრეკილების, მისწრაფების გამოვლინის ჭეშმარიტი კერა, ცოდნის, შრომის, სიცოცხლისა და სიხარულის გამოხატულება.

ყველა კაბინეტს თავისი სახე აქვს: ზოგან მოძრაობა და პლასტიკა იხვეწება, ზოგან — აზრი და ფიქრი. ბიოლოგები საცდელი ნაკვეთისაკენ მიიჩქარიან, ტექნიკოსებს კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და სხველოსნოები ელოდებათ, სპორტსმენებს — ნათელი დარბაზები და სავარჯიშო მოედნები; იმათ, ვინც პიონერთა სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებში ქმნიან მინიატურულ გემებს, თვითმფრინავებს, ავტომატურ ხელსაწყოებს, თხზავენ ლექსებსა თუ მოთხრობებს, სულ მალე მოუხდებათ სერიოზული არჩევა პროფესიისა, რომელსაც მიუძღვნიან თავიანთ ცხოვრებას. დღევანდელი შრომა და მეცადინეობა კი ერთგვარი მომზადებაა მომავალი საქმიანობისათვის.

სასახლე ამზადებს მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. აქ ფართო შესაძლებლობებია ხასიათის, ჩვევის, თავისი თავის შეცნობისა თუ ღირსების დასანერგად, რაც აუცილებელია ჩვენი საზოგადოების ადამიანისათვის.

ბორის ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე არის ორგანიზაციულ-მასობრივი და საინსტრუქტაჟო მეთოდური ცენტრი ბავშვთა შორის მრავალფეროვანი სკოლისგარეშე მუშაობის დარგში.

„ჩვენი სასახლე“ — ამბობენ ბავშვები, უფროსკლასელები და უფროსებიც. „მეცნიერებათა მცირე აკადემია“ შეარქვეს სასახლეს ქართველმა მეცნიერებმა.

სასახლეში 8 განყოფილებაა, 40 კაბინეტ-ლაბორატორია, მუშაობს 600-მდე სხვადასხვა სახის წრე, სადაც გაერთიანებულია 10000-მდე თბილისელი მოსწავლე.

ტრადიციული ღონისძიებანი საშუალებას იძლევა სასახლის პედკოლექტივს ახლო ურთიერთობა ჰქონდეს რესპუბლიკის რაიონებთან და ქალაქებთან.

წლეულს მოეწყო მოსწავლეთა 28-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია. მოსწავლეთა შორის იყვნენ ნორჩი ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ისტორიკოსები და ლიტერატორები, ბიოლოგები და რადიომყვარულები, გეოლოგები და გეოგრაფები... კონფერენციაზე 19 სექცია გამოვიდა, 600-მდე მოსწავლემ წაიკითხა მოხსენება. ისინი საუბრობდნენ გამოკვლევებზე ქიმიასა და ფიზიკაში, ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, მშობლიური სოფლის, რაიონის, ქალაქის ისტორიაზე; კონფერენციაზე გამოვიდნენ ნორჩი მთარგმნელები, რომლებიც თარგმნიან საბჭოთა ხალხების, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე. გამოვიდნენ საკუთარი ლექსებით, მოთხრობებით, გვიჩვენეს სხვადასხვა აპარატურის საკუთარი კონსტრუქციები, თემატური სტენდები, რუკები, სქემები... კონფერენციაში 20000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

რამდენიმე წელიწადია იმართება ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური კონკურსი. თუ პირველ წელს კონკურსის ჩატარებისას მონაწილეობდა 200 მოსწავლე, წლეულს მონაწილეობდა 2.085 მოსწავლე. მათ წარმოადგინეს 24.126 ნახატი და 4.222 მოდელი.

სასახლეში ეწყობა ნორჩ მხარეთმცოდნეთა, ბუნებისმოყვარულთა, გეოლოგთა, „ქართული ენის საუნჯის“ კლუბის, ნორჩ ლიტერატორთა რესპუბლიკური შეკრებები, კონკურსები საკუთარ თვითნაკეთობაზე. საინტერესოდ და შინაარსიანად მუშაობს მოძმე ეროვნების ბავშვთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი.

1964 წელს ნორჩი მხარეთმცოდნეები მონაწილეობდნენ მოსკოვში გამართულ ეთნოგრაფთა და ეთნოლოგთა მსოფლიო კონგრესზე, ხოლო 1968 წელს იაპონიაში გაიგზავნა ჰაბუკ მხარეთმცოდნეთა გამოფენა და ექსპონატები.

სასახლის ენთუზიასტ პედაგოგთა გვერდით ბავშვებისადმი დიდ მზრუნველობას იჩენენ ქართველი მეცნიერები, რომლებიც სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებში მუშაობენ საპატიო პრეზიდენტებად, კლუბის თავმჯდომარეებად.

ყოველ კაბინეტს თავისი მრჩეველი, გულშემატკივარი, უფროსი მეგობარი ჰყავს: მხარეთმცოდნეებს — აკად. გიორგი ჩიტაია, პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ა. აფაქიძე და ვ. ბერიძე, დოც. კ. ჩოლოყაშვილი; გეოგრაფ-გეოლოგებს — აკადემიკოსები ა. გამყრელიძე, თ. დავითაია, პროფესორები: დ. ბულეიშვილი, დოცენტი ქ. ყავრიშვილი; ბიოლოგებს — აკადემიკოსები ნიკო კეცხოველი, გასილ გულისაშვილი, მ. საბაშვილი, პროფესორები ქს. ცხაკაია, არჩ. ჯანაშვილი, პიონერული მუშაობისა და ვ. ი. ლენინის ოთახის აქტივისტებს — პროფესორი ი. მირცხულავა, დოცენტი თ. ცხვედიანი; ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს — პროფესორი ი. ტაბაღუა; ქართული ლიტერატურის მოყვარულებსა და ნორჩ შემოქმედებს — პროფესორი ს. ხუციშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. იმედაშვილი, პოეტი ნ. ჩაჩავა, კრიტიკოსი კ. იმედაშვილი; საკრებულო ქართული ენის საუნჯეს — აკად. არ. ჩიქობავა, დოცენტები: ივ. გიგინეიშვილი, ილ. მაისურაძე, ალ. ჭინჭარაული, ირ. ასათიანი, გ. თოფურია, ზ. ჯაფარიძე; ფოლკლორისტებს — პროფესორები ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ქიმიკოსებს — პროფესორი ნ. ბექაური; რუსული ენისა და ლიტერატურის მოყვარულებს — პროფესორები დ. მგელაძე, ვ. შადური, ასტრონომებს — აკად. ევ. ხარაძე; ნორჩ მხატვრებს — დოცენტი ს. ბურჭულაძე, ა. შავგულიძე და სხვანი და სხვანი. ძნელია ყველას დასახელება...

კარგი ტრადიციაა სასახლეში — იმ ადამიანთა ღვაწლსა და სახელებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ბავშვთა აღზრდის კეთილშობილ საქმეს — თაობებს სათუთად უნახავს საპატიო წიგნი, რომელიც სასახლის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

1968 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩვენმა ნორჩმა ტექნიკოსებმა, ნატურალისტებმა ოქროს მედალი მიიღეს, 1969 წელს I ხარისხის დიპლომი. 1970 წელს ქ. ტერნოპოლში ნორჩმა გემთმშენებლებმა საკავშირო სპორტულ შეჯიბრებაში I ადგილი მოიპოვეს. ამავე წელიწადს ნორჩმა ტექნიკოსებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე კვლავ ოქროს მედალი და I ადგილი დაიკუთრეს. სასახლის ნატურალისტური მუშაობის კაბინეტს საცდელი-საკვლევი მუშაობისათვის აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც ხდება სოფლის მეურნეობის საკითხებზე პრაქტიკული დაკვირვება.

სერიოზული ადგილი ეთმობა სასახლეში მეთოდურ მუშაობას. იგი ვლინდება სემინარებში, კონსულტაციებში. სასახლის პედკოლექტივი სისტემატურად ეხმარება რესპუბლიკის სკოლებს მეთოდური და პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ მიზნით ეწყობა გასვლითი სემინარები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, ხდება საუკეთესო მუშაობის განზოგადება. მეთოდკაბინეტი უშვებს ბროშურებს, რომელიც ეგზავნებათ რესპუბლიკის სკოლებს. უკანასკნელ წლებში ბროშურათა დასახელება 150-მდე გადიდდა.

ვ. ი. ლენინის კაბინეტის პიონერულმა აქტივმა, წითელკვალისმაძიებლებმა, 500-მდე ვეტერანი პიონერ-კომკავშირელი შემოიკრიბეს და შეაგროვეს საინტერესო მასალები საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიიდან.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს რაიონების სკოლებთან, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთელ თანატოლებთან. ისინი მართავენ მეგობრობის ფესტივალებს, ზეიმებს, მოგზაურობენ მეგობრული ვიზიტით სსრ კავშირის ბევრ ქალაქში, იყვნენ უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1.500-ზე მეტი ბავშვია გაერთიანებული სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, ნორჩ ვოკალისტთა ჯგუფებში, სიმფონიურ, სასულე, საესტრადო ორკესტრებში, საბალეტო სტუდიაში, პიონერული და თოჯინების თეატრებში, სკულპტურისა და ჭედური ხელოვნების, ფერწერის კაბინეტებში. დიდი წარმატება ხვდა წილად ნორჩების ოპერეტას „შეხვედრა პიონერთა ბანაკში“.

სხვებს არ ჩამორჩებიან ნორჩი სპორტსმენები, მასობრივი მუშაობის წამომწყებნი. მათ უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სასახლე. აქ ისინი ეუფლებიან საყვარელ საქმიანობას, ხვდებიან სტუმრებს როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ისე საზღვარგარეთიდან.


შემოქმედ ბავშვთა საკუთარი ლექსები, მოთხრობები, ცნობები ნამუშევრების შესახებ იბეჭდება სასახლის გაზეთ „გაზაფხულის“ ფურცლებზე, რომელსაც უშვებს სასახლის სასწავლო სტამბა. სასახლეს გარს აკრავს შესანიშნავი ბაღი, მრავალწლიანი ხეებით, შადრევნებით, ხეივნებით, რომელიც ნორჩთა საყვარელი ადგილია. აქ ისინი ატარებენ მასობრივ თამაშობებს, ზეიმებს, კარნავალებს.

სასახლემ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფა გზა, აპოვნინა თავისი თავი, დაეხმარა პროფესიის სწორად არჩევაში. დღეს ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობენ სახალხო მეურნეობის, კულტურისა თუ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ესენი არიან — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე, დამსახურებული არტისტები თენგიზ არჩვაძე, გურამ საღარაძე, ზინა კვინრენჩხილაძე... მწერლები, ჟურნალისტები, კრიტიკოსები: მელორი სტურუა, რევაზ თაბუკაშვილი, ნაზი კილასონია, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, გურამ ასათიანი, ვახუშტი კოტეტიშვილი, მხატვარი გოგი თოთიბაძე, მეცნიერები ლაშა ჯანაშია, გურამ რამიშვილი, რეჟისორები ლანა ღოღობერიძე, ნანა ხატისკაცი და ბევრი სხვა.

სასახლის კედლებში შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფს — მომავალ თაობათა აღზრდის კეთილშობილ საქმეს ღირსეულად ემსახურება რუსთაველის გამზირის მშვენება, თბილისელ ბავშვთა სიხარული, ჩვენი სასახლე.

შოთა დევდარიანი,

ბორის ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.



ერთობლივი განცხადება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტის მოწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი 1973 წლის 18-22 მაისს ვიზიტით იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუშუევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ვიზიტით იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან დოქტორ გ. ჰაინემანთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ვ. ბრანდტს შორის გაიმართა მთელი რიგი საუბრები, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ფედერალური კანცლერის მოადგილის, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის ვ. შეელის მონაწილეობით.

ვიზიტის დროს გამართულ შეხვედრებში აგრეთვე მონაწილეობდნენ:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, საკავშირო გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. პ. ბონდარენკო;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ — ეკონომიკის ფედერალური მინისტრი დოქტორი ბ. ფრიდერიხსი, ტრანსპორტის ფედერალური მინისტრი დოქტორი ლ. ლაურიცენი, საგანგებო დავალებათა ფედერალური მინისტრი ე. ბარი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი პ. შრანკი, ფედერალური მთავრობის პრესისა და ინფორმაციის უწყების ხელმძღვანელი შონ ვეხმარი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დოქტორი უ. ზამი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მინისტერიალ-დირექტორი ბ. ვანჰელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მინისტერიალ-დირექტორი პ. შერმესი.

ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს შემდეგ შეთანხმებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას:

— შეთანხმებას ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ;

— შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ;

— საჰაერო მიმოსვლის შესახებ 1971 წლის 11 ნოემბრის შეთანხმების დამატებითს ოქმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ფედერალურმა კანცლერმა განიხილეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ძირეული საკითხები. დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, უწინარეს ყოვლისა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის პერსპექტივებს. საუბრები მიმდინარეობდა გულახდილ და საქმიან ატმოსფეროში, ურთიერთგაგების სულისკვეთებით, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის ურთიერთობის ხასიათს.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულება ისტორიული ნიშანსვეტია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში, მთელი ევროპის განვითარებაში. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს საიმედო საფუძველს მძიმე წარსულის დასაძლევად, ორი ქვეყნის ურთიერთობის გარდასაქმნელად და გასაუმჯობესებლად. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განვლილ მოკლე ხანში თანამშრომლობის ბევრ სფეროში მიღწეულია საგრძნობი შედეგები.

მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება სორცი შეასხან ხელშეკრულებას და მის საფუძველზე თანამიმდევრულად იმუშაონ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. ერთობლივი ღონისძიებანი ამ მიმართულებით, რომლებსაც მხარეები კვლავაც განაგრძობენ, ურთიერთგაგებასა და ნდობას ამყარებენ მათ შორის. ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრები და მათ შორის აზრთა გაზიარებანი. დათქმულია მომავალშიც მოეწყოს ასეთი შეხვედრები.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სხვა დონეებზეც აზრთა გაზიარებისა და კონსულტაციების პრაქტიკა ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის შეუძიგი ელემენტი გახდა. ასეთმა პრაქტიკამ გაამართლა თავისი დანიშნულება. იგი გაგრძელდება და გაფართოვდება. კონსულტაციათა საგანი იქნება როგორც ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემები, ისევე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ფედერალურმა კანცლერმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად გაიზარდა ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. დაიდო შეთანხმება ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ. მნიშვნელოვნად ვამოცოცხლდა ორივე მხარის ორგანიზაციებისა და ფირმების ურთიერთობა მრეწველობის დარგში. ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლა. ხელმოწერილია მთელი რიგი შეთანხმებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის განვითარების შესახებ.



ბონი. 19 მაისი. დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში საზეიმო ვითარებაში შედგა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებათა ხელმოწერა. ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ა. გრომიკომ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვ. ბრანდტმა, ვ. შეელმა. სურათზე: ხელმოწერის დროს. (სურათი მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ფედერალური კანცლერი მიესალმნენ მოლაპარაკებას მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო პროექტების თაობაზე, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმების მონაწილეობით საბჭოთა კავშირში რკინის უშუალო აღდგენის ბაზაზე მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის პროექტის თაობაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

მხარეებმა დათქვეს, რომ წაახალისებენ თანამშრომლობას პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავებასა და ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნაში, კერძოდ, ჩარხთმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, სსრ კავშირის ტერიტორიაზე ძრავების წარმოებაში.

მხარეები დაინტერესებული არიან აგრეთვე კიდევ უფრო განავითარონ თანამშრომლობა ქიმიურ მრეწველობაში, მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების საქმეში, ელექტრონერგიის წარმოებაში, სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცალკეულ სახეობათა სარგებლო წიაღისეულის საბადოთა ერთობლივ ათვისებაში. ფედერალურმა მთავრობამ გამოთქვა დაინტერესება საბჭოთა კავშირიდან ნავთობის მიწოდების გაფართოებით.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი მიღწეულ პრინციპულ შეთანხმებათა რეალიზაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანსა და ფედერალურ კანცლერს მიაჩნიათ, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში დაწყებული ახალი ეტაპი სახავს შესაძლებლობას, გაუმჯობესდეს და გააქტიურდეს ურთიერთობა სხვა დარგებშიც. ორივე მხარე ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაფართოებას პარლამენტართა შორის, გაცვლის განვითარებას კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის დარგში, კონტაქტებს პროფკავშირებს, ახალგაზრდულ და სხვა ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ორი სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ხელს შეუწყობს ჰუმანური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას. აღინიშნა, რომ სასარგებლოა ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებს შორის. კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ საფუძველზე ასეთი კონტაქტებისა და გაცვლის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ერთმანეთისადმი ნდობისა და ურთიერთგაგების ზრდას, ადამიანთა ურთიერთ სულიერ გამდიდრებას, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის განმტკიცებას.

სასურველად იქნა მიჩნეული განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ საფუძველზე მოაწესრიგონ თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის დარგში, უწინარეს ყოვლისა კიბოსგან და გულ-სისხლძარღვების დაავადებათა მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად ღონისძიებათა გაერთიანების გზით.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ფედერალურმა კანცლერმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1971 წლის სექტემბერში მათი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ევროპის დაძაბულობის შენელების პროცესში მიღწეულია შემდგომი მნიშვნელოვანი პროგრესი. ამ პოზიტიურ პროცესს ხელი შეუწყვეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივმა შეთანხმებამ, რომლებიც ითვალისწინებენ ევროპაში არსებულ ნამდვილ ვითარებას და ემსახურებიან მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფას.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ბრანდტმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძველთა ხელშეკრულებას ევროპის დაძაბულობის შენელებისათვის. ისინი მიესალმნენ ორი გერმანული სახელმწიფოს მომავალ შესვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც ეხება 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივ შეთანხმებას. ლ. ი. ბრეჟნევსა და ვ. ბრანდტს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ამ შეთანხმების ზუსტად დაცვა და სრულად განხორციელება ევროპის ცენტრში დაძაბულობის განუხრელი შენელებისა და შესაბამის სახელმწიფოთა შორის, კერძოდ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების არსებითი წანამძღვარია.

ფედერალურმა კანცლერმა ლ. ი. ბრეჟნევს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს ფედერალური მთავრობის მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობასთან ორივე სახელმწიფოსათვის ურთიერთმისაღებ საფუძველზე ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გააცნო ფედერალური მთავრობის ღონისძიებანი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს მიუხედნის შეთანხმების საკითხი. ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ბრანდტმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმისათვის. ფედერალურმა კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ფედერალური მთავრობა მზად არის დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებთანაც ასეთი ურთიერთობა ჯერ არა აქვს.

მხარეებმა საფუძვლიანად განიხილეს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ახლა ევროპის პოლიტიკის პირველ პლანზე წამოიწია. გამოითქვა იმედი, რომ ჰელსინკის მრავალმხრივი მოსამზადებელი კონსულტაციები მალე დამთავრდება, რომ თათბირი უახლოეს დროში გაიმართება იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება ამ ღონისძიების საერთაშორისო მნიშვნელობას. ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ თათბირის წარმატებას ევროპის მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის მყარი საფუძველის შექმნის მიზნით.

გაიმართა აზრთა გაზიარება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მხარეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ შეთანხმებული მოწესრიგებანი, რომლებიც შეესაბამებიან მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპს, ევროპის მშვიდობის განმტკიცების მიზნის შესაბამისი იქნებოდა. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ მრავალმხრივ მოლაპარაკებაზე ამ პრობლემების გადაჭრისადმი ყველა მონაწილისათვის მისაღები მიდგომის შეთანხმებას. ორივე მხარე მიესალმება ასეთი მოლაპარაკების მოსამზადებელ მრავალმხრივ კონსულტაციებს, რომლებიც კონსტრუქციული სულისკვეთებით მიმდინარეობს ვენაში, და გამოთქვამენ იმედს, რომ ეს კონსულტაციები უახლოეს დროში წარმატებით დამთავრდება.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის 1968 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და დამტკიცა ბევრმა სახელმწიფომ. ითვალისწინებს რა ევრატომისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიმდინარე წლის 5 აპრილის შეთანხმებას, ფედერალური მთავრობა ამ ხელშეკრულებას შეიტანს საკანონმდებლო ორგანოების დასამტკიცებლად. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ამ ხელშეკრულების განხორციელება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება განიარაღების გზაზე და ხელს შეუწყობს ატომური ომის საფრთხის შემცირებას, საერთაშორისო უშიშროების შემდგომ განმტკიცებას.

ლ. ი. ბრეჟნევი და გ. ჰაინემანი მიესალმნენ შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, რომელსაც პარიზში მოაწერეს ხელი 1973 წლის 27 იანვარს, რაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში. მათ მიაჩნიათ, რომ პარიზის შეთანხმების დაცვა ამ დოკუმენტის ხელმომწერი ყველა მხარის მიერ მსოფლიოს ამ ნაწილში მყარი მშვიდობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია.

მხარეებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში კვლავ საშიში დაძაბულობაა და ხაზი გაუსვეს, რომ ამასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად. მათ განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ყველა ღონისძიებას, რომლის მიზანი იქნება სამართლიანი და მყარი მშვიდობის მიღწევა ახლო აღმოსავლეთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ფედერალურმა კანცლერმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ გამართულმა საუბრებმა ხელი შეუწყვეს ორივე სახელმწიფოს თანამშრომლობის სფეროების, მათ შორის აგრეთვე საერთაშორისო საკითხებში თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას, დასახეს პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის აქტიური განვითარების პერსპექტივები ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის. მიღწეული შედეგები ყველა საფუძველს აძლევენ ორივე ქვეყანას რწმენით შეჰყურებდნენ მომავალს.

ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მას გაუწიეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს. ფედერალური პრეზიდენტი დოქტორი გ. ჰაინემანი და ფედერალური კანცლერი ვ. ბრანდტი მოწვეული არიან ოფიციალურ ვიზიტად საბჭოთა კავშირში. ისინი მადლობით დათანხმდნენ მოწვევას.

ლ. ი. ბრეჟნევი. ვ. ბრანდტი

კენიგსვინტერ-ბეტერსერგი, 1973 წლის 21 მაისი.

მამულიშვილთა არდავიწყებანი

მოჭალაჭე, მოღვაწე, მეცნიერი

ფილიპე გოგიჩაიშვილი დაიბადა 1872 წლის 20 იანვარს ლანჩხუთში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. 1880 წელს დაამთავრა სოფლის სკოლა, 1887 წელს კი — ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

1887-1893 წლებში ფილიპე გოგიჩაიშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს. სწავლის პერიოდში შედის არალეგალურ ჯგუფში და საკუთარი წრეც ჰყავს, სადაც კითხულობენ და არჩევენ არალეგალურ ლიტერატურას.

სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ იგი ბუღალტერ-კორესპონდენტად მუშაობს ზესტაფონში, მრეწველ ნ. ღოღობერიძის კანტორაში. ზესტაფონშივე გაიცნო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ფილიპეს ცხოვრებაში — ზესტაფონსა და ბათუმში 2-3 წლის მუშაობის შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა პეტრე უმიკაშვილმა თავისი ხარჯით გაგზავნა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად.

უცხოეთში ფილიპე გოგიჩაიშვილი ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა, ერთი სემესტრი კი — მიუნხენის უნივერსიტეტში. ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიკის (ე. წ. კამერალური მეცნიერებათა) განყოფილების წარმატებით დასრულების შემდეგ, 1901 წელს დისერტაცია დაიცვა და მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

გამოჩენილმა მეცნიერმა კ. ბიუხერმა საუკეთესოდ შეაფასა საქართველოში წვრილი მრეწველობის საკითხებისადმი მიძღვნილი ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომი, რომელშიც, სწავლულის თქმით, „მეცნიერებისათვის ბევრი საყურადღებო ორიგინალური აზრია გატარებული“. ფილიპე გოგიჩაიშვილის დისერტაცია გერმანულად დაისტამბა ტიუბინგენში. მას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა. ნაშრომმა გარკვეული როლი შეასრულა დასავლეთში ქართველოლოგიის გავრცელების თვალსაზრისითაც.

გოგიჩაიშვილი კიდევ ერთი წელიწადი ცხოვრობდა ევროპაში, უმთავრესად პარიზში, სადაც მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მიუხედავად წინადადებისა — გაეგრძელებინა სამეცნიერო მუშაობა გერმანიაში — იგი 1902 წელს ბრუნდება სამშობლოში და იწყებს ფართო საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ-სამეცნიერო მოღვაწეობას. 1907 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილმა შეირთო ელენე ცხვედაძე — გამოჩენილი პედაგოგისა და მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის I კორპუსის აგების მთავარი ორგანიზატორის — ნიკოლოზ ცხვედაძის ასული.

ფილიპე გოგიჩაიშვილი განაგებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს, სადაც ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევებს (1908-1913 წლები); იყო სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში (1914-1916 წლები); კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარე (1917-1918 წლები); სახელმწიფო კონტროლიორი (1918-1920 წლები) და სხვა.

1917-1918 წლებში ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც ლექციებს კითხულობდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიკურ განყოფილებაზე და იყო უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ერთ-ერთი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერი.

პუბლიცისტური მოღვაწეობა ფილიპე გოგიჩაიშვილმა დაიწყო 1892 წლიდან — მისი კორესპონდენციები და ფელეტონები იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, თანამშრომლობდა აგრეთვე ჟურნალებში — „მოამბეში“, „კვალში“, გაზეთებში — „ცნობის ფურცელში“, „საქართველოს მოამბეში“. 1905-1906 წლებში თვითონ რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას“. ფილიპე გოგიჩაიშვილის ნარკვევები, ფელეტონები, მოწინავე წერილები ეხებოდა იმ დროისათვის საჭირბოროტო საკითხებს, რისთვისაც ცარიზმის ცენზურა ხშირად კრძალავდა მის ნაწერებს. 1909 წელს გოგიჩაიშვილი დაპატიმრებულიც კი იყო ცარიზმის საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის.

1901 წელს ტიუბინგენში პირველი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კაპიტალურ გამოკვლევას: „სტატისტიკური ცნობათა კრებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიწათმფლობელობის შესახებ“, 1910 წელი (რუსულ ენაზე).

ფილიპე გოგიჩაიშვილი ავტორია შრომების, მონოგრაფიების, საჟურნალო ნარკვევების, ფელეტონების, პუბლიცისტური სტატიებისა, რომელთა რაოდენობა 300-ზე მეტია.

ფილიპე გოგიჩაიშვილის შრომები შეეხება საქართველოსა და კავკასიის იმდროინდელი და ნაწილობრივ წინადროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალ აქტუალურ საკითხს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები 1890-1900-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამ შრომების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზოგადებრივ-ეკონომიკური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარულ ურთიერთობათა ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი. ზემოხსენებული სტატისტიკური კრებულის შესახებ ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი წერდა:

„ამოდენა წიგნი, ქართველების მიერ შედგენილი და ქართული ფულით გამოცემული, ვგონებ, მეორე არ მოიპოვება ჩვენში. გამოკვლევის საგანსაც, უპირველესი, უძირითადესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის“...

ფილიპე გოგიჩაიშვილის როგორც პუბლიცისტის, ჟურნალისტის ჰორიზონტი განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა მას შემდეგ, რაც ის სათავეში ჩაუდგა „ივერიას“.

სანამ რედაქტორობას იკისრებდა და განახლებული გაზეთის გამოცემას შეუდგებოდა, ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც თვითონ ჩემთვის უამბია, რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც აგულიანებდა ახალგაზრდა მეცნიერს უარი არ ეთქვა რედაქტორობაზე — ფ. გოგიჩაიშვილს გამბედაობა არ ჰყოფნიდა ეთავა რედაქტორობა ილიასეული გაზეთისა...

მაგრამ ფ. გოგიჩაიშვილი შესანიშნავად წარუძღვა ამ საქმეს.

უველაზე მთავარი მის იმდროინდელ მოღვაწეობაში მაინც საქართველოს გლეხობის, სოფლის მეურნეობის, საერთოდ აგრარული პრობლემები იყო. საქართველოს აგრარული მდგომარეობის შესწავლაში ფ. გოგიჩაიშვილს უამირი უნდა გაეტეხა, რადგან ქვეყნის ეკონომიკის შესწავლის არავითარი ტრადიცია არ არსებობდა და, რაც მთავარია, თვით აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

1904 წელს, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების 40 წლისთავი რომ აღინიშნებოდა, ფილიპე გოგიჩაიშვილი „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „ბატონ-ყმობის მოსპობით მოისპო ადამიანის პირადი უთავისუფლობა, მაგრამ არ მოსპობილა ეკონომიური დამოკიდებულება და ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობა. ამ განხეთქილების აღმოფხვრას და ნამდვილი თანასწორობის განხორციელებას შესძლებს მხოლოდ მომავალი ბრწყინვალე დრო და უფრო განათლებული საზოგადოება“.

დიდად ნაყოფიერად მუშაობდა ფ. გოგიჩაიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მან, როგორც სათანადო ორგანოების დავალებით, ისე საკუთარი ინიციატივით, დიდი, რთული და საპასუხისმგებლო შრომა გასწია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის თხზულებათა გერმანულიდან და ფრანგულიდან თარგმნის საქმეში. ამ საქმეშიათვის მიიღო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ჯილდო.

მარქსიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ეკონომიკური შრომების ქართულად თარგმნით ფილიპე გოგიჩაიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს და, რაც უმთავრესია, მისი დიდი მთარგმნელობითი მუშაობის შედეგად ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა დედანზე გასცნობოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა გენიალურ შრომებს. ეს კი, ჩვენი აზრით, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის უმთავრესი დამსახურებაა.

ფილიპე გოგიჩაიშვილმა საყურადღებო შრომა გასწია გერმანულიდან და რუსულიდან სახელმძღვანელოების თარგმნითა და რედაქტირებით. მანვე ინგლისურიდან თარგმნა ბურუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა შრომები: დ. რიკარდოს — „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“, ადამ სმიტის — „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ და სხვა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი აქტიურად მუშაობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიებში, ამიერკავკასიისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატებში, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. ამ დაწესებულებებში მისი უშუალო მონაწილეობით, ინიციატივთა და კონსულტაციით დამუშავებულია მრავალი სახალხომეურნეობრივი, სტატისტიკური და ფინანსური პრობლემა.

თვალსაჩინოა ფილიპე გოგიჩაიშვილის დამსახურება საბჭოთა ეკონომისტთა კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა და დაგეგმვის სხვადასხვა დარგში, ანდა ეწევიან მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ინსტიტუტში.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიც, ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, ფილიპე გოგიჩაიშვილი ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას — იყო თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი; 1947-51 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სადაც, სხვათა შორის, სისტემატურად მუშაობდა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე.

ის იყო შესანიშნავი ქართველი, დიდებული მეცნიერი და ჩინებული ადამიანი.

როცა ფილიპე გოგიჩაიშვილი მოვიწვიეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სანამ თემა არ აიღო და წინასწარ კარგად არ დაამუშავა, ამ თანამშრომლობაზე ვერ დავთანხმე, თუმცა ასპირანტებს კიდეც ხელმძღვანელობდა და ინსტიტუტის დაარსებიდანვე მისი სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო.

ერთხელ ინსტიტუტში ჩემთან შემოვიდა. ფრიად დანაღვლიანებული ჩანდა. ყოყმანის შემდეგ მითხრა — ფული მჭირდება, იქნებ ხელფასის მიღებამდე მასესხოო, ბავშვი (შვილიშვილი) მყავსო ავად.

ფული მივეცი. მაგიდას მიუჯდა, ქაღალდი აიღო, გვერდის ბოლოს ხელი მოაწერა და ცარიელი ფურცელი გამომიწოდა, თან გაკვირვებულს მითხრა: ვინ უწყის, შეიძლება ხვალ-ზეგ აღარ დავრჩე... თვითონ შეავსებთ და ვალს გადაგიხდიანო. სეიფზე მიმითითა — იქ შეინახეო. ვიცოდი მისი ხასიათი, წინააღმდეგობა აღარ გამიწევია: ისე მოვიქეცი, როგორც მითხრა. როგორც კი მარტო დავრჩი, ბევრი არ მიფიქრია, ქაღალდი სეიფიდან გამოვიღე და დავხიე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფული დამიბრუნა, თან მომაჩერდა, ჭვრეტა დამიწყო... თავი უხერხულად ვიგრძენი — ცხადი იყო, ის ქაღალდი უნდა დამებრუნებინა...

ბოლოს თავისებური, საოცარი სიცილი აუტყდა. კარგა ხანს გულიანად ხითხითებდა:

— განა არ ვიცი, არ შეინახავდი ისე, ყასიდად შედე სეიფში, მერე კი დახიე...

ორივენი ვიცინოდით...

1941 წლის 3 ნოემბერს ჩემს ოჯახურ წვეულებაზე იყვნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ჯანაშია, გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, კარლო კალაძე, ლევან გოკიელი, გიორგი გამყრელიძე... ზოგიერთი მეუღლითურთ მობრძანდა. გამოვიდა, როგორც გიორგი ლეონიძემ მაშინვე აღნიშნა, „თავისებური და ფრიად ლაღი ლიტერატურული საღამო“.

საუბარი შეეხებოდა ქართული კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების საკითხებს— იმის მიხედვით, თუ ვისი სადღეგრძელო ითქმებოდა, თან მსჯელობის საგანი ხდებოდა სამამულო ომში გოგანტურ ძალთა ჭიდილის, საერთაშორისო ურთიერთობათა, ქართული ცივილიზაციისა, და საერთოდ, ქართველი ერის ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენები.

კონსტანტინე გამსახურდიამ და შალვა ნუცუბიძემ ღრმაშინაარსიანი, დიდი ემოციური ძალით ნაჯერი სიტყვებით მიმართეს ფილიპე გოგიჩაიშვილს.

კონსტანტინემ ფილიპე გოგიჩაიშვილი დაახასიათა როგორც თავისი დარგის უველაზე გამოჩენილი ევროპელი მეცნიერების (კ. ბიუხერისა და სხვათა) სახელოვანი მოწაფე, როგორც ფართო დიაპაზონის ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, როგორც დიდი ილიასეული „ივერიის“ რედაქტორი და ილიას მიერ დანერგილი მაღალი რანგის ქართული პუბლიცისტიკის ამაგდარი.

შალვას ცრემლი მოადგა თვალზე, როცა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ნამდვილად დრამატულ ეპიზოდებს იხსენებდა — ვერ წარმოიმდგენია, ბ-ნი ფილიპე რომ არა, ვინ შეძლებდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების მობილიზაციას, დაცვას და თადარიგიან ხარჯვასო, — თქვა მან და გვიამბო მოღვაწეობა ადამიანებისა, რომელთაგან ზოგიერთი, თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი, უკვე ცოცხალი აღარ იყო და რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ყოველთვის ეჭირა ფილიპე გოგიჩაიშვილს.

ბ-ნმა ფილიპემ გაიხსენა გიორგი წერეთელთან და ილია ჭავჭავაძესთან თავისი შეხვედრები და აღნიშნა, რომ „დიდი ილიას წაქეზებამ გააბედვინა ხელი მოეკიდა „ივერიის“ რედაქტორობისათვის და რაკი ეს ტვირთი ვიკისრე, სანამ შემეძლო, მთელი ჩემი ძალა და ენერგია, ცოდნა და გამოცდილება არ დამიზოგნია, რათა გამემართლებინა მისი ნდობა... და ის გარემოება, რომ მერე თავისი სულიერი ანდერძის აღმსრულებელთა შორის მეც დამასახელა, საფუძველს მაძლევს ამ მხრივ დამშვიდებული ვიყო“.

ჭეშმარიტად, ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში უველგან და უოველთვის მტკიცედ და პირნათლად იდგა თავის ადგილზე, ღრმად დარწმუნებული, რომ ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურას, ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დიდად საპასუხისმგებლო საქმეს, საბჭოთა მეცნიერების განვითარების ინტერესებს.



სურათზე: ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შორის (1927). მარცხნიდან მარჯვნივ: ნინო ყენია, პაპუნა წერეთელი, ქეთევან ჭავჭანიძე, პაატა გუგუშვილი, გუგუ ჩიქოვანი, სოსო იაშვილი, რაფიელ კაჭარავა.

პაატა გუგუშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.











კულტურის

„ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ვგონებ, ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას“.

მიხეილ კალინინი

ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი, ხალხის ცოდნისა და განათლების დაუშრეტელი წყარო, ქართული წიგნის ეროვნული წიგნსაცავი — კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა არსებობის 127 წელიწადს ითვლის.

თბილისის გულში, კეცხოველის ქუჩაზე აღმართულ ამ შესანიშნავ, ქართულ ჩუქურთმებიან შენობაში, მის უზარმაზარ ნათელ დარბაზებსა და სარდაფებში ამჟამად 12 მილიონი შეჭდური ერთეულია დაცული. ბიბლიოთეკის უზარმაზარ ფონდებს, ამ აუარაცნელ, ფასდაუდებელ სიმდიდრეს თავდაპირველად სულ რამდენიმე ასეული წიგნი ედო საფუძვლად.

1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე შექმნილ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა დიმიტრი ყიფიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ზაქარია ერისთავის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანებისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით 1840-იან წლებში თბილისში დაარსებული პირველი კერძო ბიბლიოთეკის 510 ტომისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებით დაკომპლექტებისა და მკითხველთა მომსახურების საქმე სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი. ბიბლიოთეკამ 1929-1931 წლებში მიიღო ახლანდელი შენობის პირველი კორპუსი, რომლის მშენებლობასაც საფუძველი ჩაეყარა 1902 წელს დიდი ილიას თაოსნობით. ეს საუცხოო არქიტექტურული ნაგებობა, რომლის მშენებლობა 1912-1916 წლებში მიმდინარეობდა, თავდაპირველად სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისათვის იყო განკუთვნილი.

1953 წელს ბიბლიოთეკა კვლავ გაფართოვდა და 1955 წელს 29 სექტემბრიდან მას „კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა“ ეწოდა.

წლების მანძილზე ამ დიდი ეროვნული კულტურის ტაძარს ხელმძღვანელობდნენ თავისი საქმის დიდი მცოდნენი: ოქტომბრის რევოლუციამდე — გ. ტოკარევი, ა. ბერჟე, პ. შელერი, რ. შმიდტი. 1918 წლიდან — ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე, პროფესორი გიორგი გეხტმანი, პოეტი სანდრო ეული-ჭურაძე, ისტორიკოსი ვალერიან მგალობლიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქმის დიდი ენთუზიასტი — პავლე კანდელაკი. 1968 წლიდან ამ დიდი ტრადიციების მჭონე ბიბლიოთეკას და მის სამასკაციან კოლექტივს ღირსეულად ხელმძღვანელობს პირველი ქალი-დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ალექსანდრა კავკასიძე, რომელიც 30 წელიწადია მთელი ენერგიითა და სიყვარულით ემსახურება საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას, მის წინსვლასა და აღმავლობას.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ამჟამად არსებული მრავალმილიონიანი ფონდი წლების მანძილზე სხვადასხვა საზოგადოებისა და მრავალი გამოჩენილი მოღვაწის პირადი ბიბლიოთეკებით ივსებოდა. აქ დაცულ სხვადასხვა ფონდს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ფონდი, რომელიც 1937 წელს გადაეცა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია დავით ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა, სამეგრელოს თავად დავით დადიანის წიგნსაცავის ნაწილი, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანისა და სხვა ცნობილ პიროვნებათა ბიბლიოთეკები. უხვად არის წარმოდგენილი წიგნები ალექსანდრე ხახანაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ გურიელისა და სხვათა ავტოგრაფებით.

ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკიდან ამ ფონდში შერჩენილია დაახლოებით 450 წიგნი, რომელთა უმრავლესობას ყუაზე ამოტვიფრული აქვს „ი. ჭ.“, „И. Ч.“ ან „ი. ჭავჭავაძე“. მრავალი წიგნის ფურცლები სავსეა ილია ჭავჭავაძის მინაწერებით. ამ ფონდიდან აღსანიშნავია ავრეთვე „შატბერდის კრებული“, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხა, ვახუშტი და იოანე ბატონიშვილის შრომები, ქართული პერიოდიკის კოლექციები.

საყურადღებოა გაზეთ „ივერიის“ 1886-1889 წლების კომპლექტები, რომლებიც სარედაქციო ცალებად არის მიჩნეული. მათში ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელ წერილებს მელნით ან ფანქრით მიწერილი აქვს „ი. ჭ.“ ან „ი“.


განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი ისტორიკოსისა და ბიბლიოფილის დიმიტრი ბაქრაძის კოლექცია, რომელშიც დაცულია მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ ტომები.

პროფესორ გიორგი გეხტმანის, ცნობილი კავკასიოლოგების — ევგენი ვეიდენბაუმისა და მიხეილ თამამშევის კოლექციები საფუძვლად დაედო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილების დამხმარე ფონდის შექმნას. ფონდი მოიცავს მეტად მდიდარ და იშვიათ ლიტერატურას კავკასიის, ამიერკავკასიის, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ.

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერ-დემოკრატისა და შესანიშნავი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი მისმა ქალიშვილმა, პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ გადასცა ბიბლიოთეკას. არქივი მოიცავს ერთი საუკუნის (1829-1928 წლები) ძვირფას და უნიკალურ დოკუმენტებს, ნაბეჭდ, ხელნაწერ მასალებს, ფოტოებს. მასში ინახება: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის, იონა მეუნარგიას, აგრეთვე ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, მისი შვილის მიხეილ ჩერნიშევსკის, ალექსანდრე პიპინის, ლუი ბლანის, ანრი როშფორისა და სხვათა პირადი წერილები; პარიზში დაბეჭდილი პატარა ქართული გაზეთის „დროშას“ (გამომცემლები ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე, პავლე იზმაილოვი) ფოტოპირი, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ მიიღო ბრიტანეთის მუზეუმიდან (დედანი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში). აქვეა ნიკო ნიკოლაძის სტატია „დოლჟნი პასტ“ გაზეთ „რუსკაია ვოლიაში“ დასაბეჭდად გამზადებული, რომელიც ცენზურას აუკრძალავს, აგრეთვე მისი სადოქტორო სადისერტაციო შრომა — „განიარადების შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულად ჟენევაში 1868 წელს.

მხარეთმცოდნეობის განყოფილება ემსახურება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მკვლევარებს. აქ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: იარომირ იედლიჩკა (ჩეხოსლოვაკია), მიხეილ კვალიაშვილი (პოლონეთი), ჰუგო ჰუპერტი (ავსტრია), ლაიოშ ტარდი (უნგრეთი) და სხვები.

განყოფილება დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. აქ ადგენენ ქართული პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას. ამჟამად დაბეჭდილია: ქართული ჟურნალები 1852-დან 1905 წლის ჩათვლით (3 ტომად); ქართული გაზეთები 1864-დან 1904 წლის ჩათვლით (6 ტომად). მუშაობა გრძელდება.



საჯარო ბიბლიოთეკა

მხარეთმცოდნეობის განყოფილების ჩამოყალიბების ინიციატორი და შემდგომში მისი დედაბოძი გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი. წლების მანძილზე მის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი (ორ ტომად); მანვე გახსნა მრავალი ფსევდონიმი და ინიციალი, გამოავლინა ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები და სხვა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლისათვის.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის შესწავლის დარგში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-მეთოდური განყოფილებები. დებელი საგანძური მთელი ერისა — ქართული წიგნის „ხელუხლებელი“ (საარქივო) და „იშვიათ გამოცემათა და ხელნაწერთა“ ფონდები. ამ ფონდში სამეფოდ არის დაცული ბიბლიოგრაფიულ იშვიათობებად ქცეული უძველესი ნაბეჭდი წიგნები, ბიბლიოთეკაში არსებული ხელნაწერები, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა არქივები, მიმოწერები, ცალკე კოლექციები მინაწერებით. ფონდი 8.000-მდე ბიბლიოგრაფიული ერთეულისაგან შედგება და ძირითადად მოიცავს XVI-XVIII საუკუნეების გამოცემებსა და XIX-XX საუკუნის იშვიათობებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართული წიგნის კოლექცია, რომელშიც დაცულია ძირითადად ქართული წიგნის უნიკუმები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1629 წელს რომში კათოლიკე მისიონერთა მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი ქართული ნაბეჭდი ტექსტით „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც ქართული ბიბლიოგრაფიის მიხედვით ბიბლიოთეკა არის აგრეთვე რესპუბლიკის საბიბლიოთეკო ქსელის ხელმძღვანელობის მეთოდური ცენტრი.

ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნის ფონდის მთავარი გასაღები საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებაა, რომელიც სისტემატურად ამზადებს და გამოსცემს სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიებს, ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს.

არსებული წიგნადი ფონდებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ფასდაუდებელი მხოლოდ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში და ლენინგრადის სალტკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამ ლექსიკონის შედგენაში სტეფანე პაოლინთან ერთად მონაწილეობა მიუღია ქართველ ბერს ნიკიფორე ირბაჭს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს).

აქვეა რომშივე 1670 წელს დაბეჭდილი მეორე ქართული წიგნი, მისიონერ ფრანცისკო-მარია მაჯოს მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“.

მართალია, ქართული წიგნი თავის ბეჭდვის ისტორიას 1629 წლიდან იწყებს რომში, მაგრამ ძირითადად ქართულ წიგნს და ქართულ ნაბეჭდ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ VI-მ პირველი ქართული სტამბის დაარსებით თბილისში 1709 წელს. ვახტანგისეული სტამბის წიგნები დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. ამჟამად საქართველოსა და საერთოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა წიგნსაცავში დაცულია ვახტანგისეული 20 გამოცემა. აქედან ჩვენი ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა ფონდში თავმოყრილია 14 მათგანი. მათ შორის: 1709 წელს მესტამბე მიხეილ უნგროველის მიერ გამოცემული „სახარება“, „სტამბის მომლების“ ვახტანგ VI-ის ანდერძით და „სამოციქულო“.

1710 წელს უნგროვლახელიც ბეჭდავს „კონდაკს“ ანუ ლიტურგიის შესრულების წესს, რომელიც ითვლება მბეჭდავის ოსტატობის შედევრად. ამავე გამოცემებს ეკუთვნის წვრილი ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი, კარგად გაფორმებული მცირე ფორმატის „ლოცვანი“ და „ჟამნი“, 1711 წელს მხედრული შრიფტით დაბეჭდილი „დავითნი“ და გერმანე მღვდელ-მონაზვნის „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“.

საეკლესიო-საქრისტიანო შინაარსის გამოცემების გარდა ფონდში დაცულია ვახტანგის სტამბაში მხედრული შრიფტით ნაბეჭდი საერო ხასიათის წიგნები: 1712 წელს ვახტანგის რედაქციით გამოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან არის. აქვეა 1721 წელს გამოცემული სამეცნიერო ხასიათის წიგნი — „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (ვარსკვლავთმრიცხველობა), რომელიც თვით ვახტანგს უთარგმნია სპარსულიდან. საინტერესოა წიგნზე დართული ვახტანგის წინასიტყვაობა და მასში ჩართული ნახაზები.


პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნები გამოირჩევიან მხატვრულ-ტექნიკური კულტურის მაღალი დონითაც — ფორმატის სხვადასხვაგვარობა, ქაღალდი, გარეგანი მორთულობა, ორნამენტები და სხვა. პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნებს ზევით თავფურცელზე აქვს ბაგრატიონთა გერბი და ყველა გამოცემაში მოთავსებულია ვახტანგ VI-ის პორტრეტი.


ფონდში დაცული მე-18 საუკუნის სხვადასხვა ქართული სტამბიდან გამოსული ქართული წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1743 წელს მოსკოვში, ვახტანგ VI-ის თანამოღვაწეთა მიერ გამართულ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი დიდტანიანი „ბიბლია“ ბაქარისა და ვახუშტის წინასიტყვაობით. აქვე უნდა აღინიშნოს 1741 წელს რომში გამოცემული მხედრული შრიფტით ნაბეჭდი „საქრისტიანო მოძღვრება“ გორელი ტლუკაანთ დავითის მიერ იტალიურიდან ნათარგმნი.

1749 წელს ერეკლე მეორისა და











ტ ა ძ ა რ ი

ანტონ პირველის შრომით ნანგრევებიდან აღდგა თბილისის სტამბა. ამ პერიოდში სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან ფონდში დაცულია 1751 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“, ავრეთვე 1772 წლის „პარაკლიტონი“, რომელსაც წინ უძღვის ანტონ პირველის წინასიტყვაობა და დართული აქვს ერეკლე მეორის ბოლოსიტყვაობა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში დაბეჭდილ ქართულ წიგნთაგან აღსანიშნავია: 1808 წელს დაბეჭდილი „ღონე და შეწევნილობა, რომლითაც იხსნინების ერი ყვავილთა სრვისაგან“, ქართულ ენაზე თარგმნილი გოდერძი ფირალოვის (ფირალიშვილი) მიერ. წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და დაცულია მხოლოდ ამ ფონდში. 1819 წელს გამოცემული დიმიტრი ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა ლექსად თქმული“, 1841 წელს აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს პარიზში გამოცემული სამი წიგნი: 1829 წელს მარი ბროსეს მიერ აღწერილი „ცხოვრებაი საქართველოსაი“, 1833 წელს მარი ბროსეს მიერ გამოცემული თეიმურაზ ბატონიშვილის „შემოკლებული ისტორია საქართველოსაი“ და 1834 წელს მის მიერვე გამოცემული „ხელოვნება აზნაურებითი გინა ქართულისა ენისა თვითმასწავლებელი. ქართული ენის გრამატიკა“. პარიზში გამოცემული სამივე წიგნი ლითოგრაფირებულია.

ფონდში დაცულია ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა პირველი გამოცემები.

პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა 1819 წლის 8 მარტს — „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით. ტექსტი იწერებოდა რუსულად და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. 1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთი გამოდიოდა „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით. „საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“ ძვირფასი და იშვიათი დოკუმენტია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესასწავლად.

იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულ რუსულ წიგნთაგან პირველ რიგში აღვნიშნავთ ლიტერატურას საქართველოსა და კავკასიის შესახებ: დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს 1779 წელს დაბეჭდილი „წიგნი ახალგაზრდა ამილახვრის შესახებ“, ერთი პირველი წიგნთაგანი რუსულ ენაზე, რომელიც გვაცნობს საქართველოს ისტორიას. იშვიათია აგრეთვე ვახტანგ ბატონიშვილის „ქართველი ხალხის ისტორიის მიმოხილვა“, დაბეჭდილი 1814 წელს; 1848 წლის ა. მურავიოვის „საქართველო და სომხეთი“, სამტომეული.

ფონდში ყურადღებას იპყრობს პეტრე პირველის მითითებით სამოქალაქო შრიფტით დაბეჭდილი მესამე რუსული წიგნი «Книга о способах творящих водохождение рек свободное». წიგნი დაბეჭდილია 1708 წელს და დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ფონდში დაცული სომხური ლიტერატურიდან დავასახელებთ ევროპის სხვადასხვა სტამბაში მე-17-18 საუკუნეებში გამოსულ წიგნებს; მაგალითად, 1667 წელს ამსტერდამში დაბეჭდილი — „ქრისტიანობის არსი“, 1675 წელს რომში გამოცემული ოვანეს აკოფიანის „სომხური ენის გრამატიკა“, 1675 წელს ამსტერდამში დაბეჭდილი „ბიბლია“, 1782 წელს სტამბოლში გამოცემული ოვანეს ჰანა ვართაპეტის „იერუსალიმში მოგზაურობა“ და სხვა.

იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცული უცხოური ლიტერატურიდან მრავალია ისეთი წიგნი, რომელთა ღირებულება დიდია როგორც გამოცემის თარიღისა და ბიბლიოგრაფიული იშვიათობის, ისე შინაარსის მიხედვით — საკმაოდ საინტერესო მასალები“, დაბეჭდილი ფლორენციაში 1506 წელს.

საჭიროა შევჩერდეთ ფონდში დაცულ ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის თაყვანისმცემლების ინგლისელი და-ძმის მარჯორი და ოლივერ უორდროპების წიგნებზე. ფონდში ინახება მარჯორი უორდროპის მიერ ქართულიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, გამოცემული ლონდონში 1912 წელს, ოლივერ უორდროპის წიგნი ქართული ავტოგრაფით უძღვნია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავისათვის. აქვეა 1895 წელს ლონდონში გამოცემული პატარა ფორმატის წიგნი — ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე, თარგმნილი მარჯორი უორდროპის მიერ, და 1914 წელს ლონდონშივე გამოცემული ოლივერ უორდროპის მიერ თარგმნილი „ვისრამიანი“.

ფონდში დაცულ მინიატიურულ გამოცემათა შორის ყველაზე პატარა, სანტიმეტრებში 2,7X1,8 და სისქე 1,2 — არის „ყურანი“ არაბულ ენაზე.

„იშვიათ გამოცემათა და ხელნაწერთა ფონდში“ დაცულია 500-მდე ბიბლიოგრაფიული ერთეული ხელნაწერი: წიგნები, საბუთები და ეპისტოლარული მასალა.

ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერთაგან ყველაზე მნიშვნელოვან და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს ქართული ენის ძველ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი ძვირფასი ძეგლი „იერუსალიმის განჩინება“, დროპს წიგნი ქართული ავტოგრაფით უძღვნია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავისათვის. აქვეა 1895 წელს ლონდონში გამოცემული პატარა ფორმატის წიგნი — ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე, თარგმნილი მარჯორი უორდროპის მიერ, და 1914 წელს ლონდონშივე გამოცემული ოლივერ უორდროპის მიერ თარგმნილი „ვისრამიანი“.



საჯარო ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის შიდა ხედი

ანუ, როგორც დღეს ლიტერატურაშია ცნობილი, „ლაგურკის ლექციონარი“, დაწერილი ეტრატზე. მკვლევართა მიერ ხელნაწერი დათარიღებულია მე-9 საუკუნის მეორე ნახევრით.

საყურადღებოა მე-13 საუკუნის (1247 წელი) ხელნაწერი „სახარება“ და სხვა.

დანარჩენ ხელნაწერთა უმრავლესობა მე-19 საუკუნისაა.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდები ყოველწლიურად იზრდება 400 ათასამდე ერთეული ბეჭდური პროდუქციით: ქართულ, რუსულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა და უცხოურ ენებზე.

15 წელიწადზე მეტია ბიბლიოთეკა სარგებლობს დაკომპლექტების მეტად მნიშვნელოვანი წყაროთი — საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო წიგნთგაცვლით.

დღეისათვის უცხოეთის ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის ამსახველი კარტოთეკა ითვლის 19 ქვეყნის 40-ზე მეტ ბიბლიოთეკას, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციას — დემოკრატიული გერმანიის, პოლონეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ეროვნულ ბიბლიოთეკებს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკას, ნიუ-იორკის საჯარო, ჰარვარდის კოლეჯის, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებს, ინგლისის — ბრიტანეთის მუზეუმის, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის, ოქსფორდისა და ბირმინგჰემის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს, შვეიცარიის — „ამირანის“ გამომცემლობას ციურიხში, ჰოლანდიის ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და სხვა მრავალს.

ბევრი საინტერესო ცნობა მოაქვს საზღვარგარეთიდან ყოველდღიურად მოსულ კორესპონდენციას. ჩვენთვის სასიამოვნოა ის ბარათები, რომლებსაც ხელს აწერენ ცნობილი ქართველოლოგები: ინგლისიდან დევიდ ლანგი, დავიდ ბარეტი, ფედერაციული გერმანიიდან იულიუს ასფალგი, შვეიცარიიდან ლეა ფლური, სანტ-იაგოდან „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო და სხვები.

ბოლო დროს მიღებული სამხარეთმცოდნეო ლიტერატურიდან აღსანიშნავია: დევიდ ლანგის შრომები — „ქართველნი“, „ბოლო შრომები ახალი ქართული ტესტამენტების შესახებ“, „ქვემთიმე ქართველი და ვარლამ იოდარიკი“, „წიგნი აზიური ხელნაწერებისა“, „სომხეთი, ცივილიზაციის აკვანი“ და სხვა. ჰანს ფოქტის „ქართული ენის გრამატიკა“, ბელგიიდან მიხეილ თარხნიშვილის და ჟერარ გარიტის შრომები. იტალიიდან ჯუზეპე ტუჩის „აღმოსავლეთის ცივილიზაცია“ 4 ტომად (ოთხსავე ტომში არის მასალები საქართველოსა და სომხეთის შესახებ), საფრანგეთიდან ლეონ ბუხარდის შრომა ბასკების შესახებ. ნორვეგიიდან ფრიდრიხ თორდარსონის „ზოგიერთი შენიშვნა ოსეთის შესახებ“, გერმანიიდან ჯამს მიხეერის „იბერია, მოგზაურობა და ფიქრები“, იაპონიიდან იპეი ფუკუროს „კავკასიის მთები მოგზაურის ჩანაწერებში“, კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ და სხვა.

შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ბიბლიოთეკაში დაცულ მდიდარ ლიტერატურას ბოლო წლებში საერთაშორისო წიგნთგაცვლამ შემატა შემდეგი გამოცემები: „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ, ესპანურ, მონღოლურ, პოლონურ და იაპონურ ენებზე; მასალები რუსთაველის შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და მისი ბათასეულობით მკითხველისათვის ის საცნობო სახიათის ლიტერატურა, რომელიც ბოლო წლებში შეემატა ბიბლიოთეკის ფონდებს და რომელთა რიცხვიც 200 აღემატება.

ასეული წიგნია გაგზავნილი ჩვენს მიერ ძსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა ლიტერატურისმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, ხელოვნების დარგის ლიტერატურაზე, ითხოვენ საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების შრომებს, ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურას, თარგმნილს ქართულ ენაზე. ხშირია მოთხოვნა ქართული ენის თვითმასწავლებელზე.

1969 წლის აპრილში ბიბლიოთეკის დირექტორი ალექსანდრა კავკასიძე მიიწვიეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — გერმანიის სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის (ბერლინი) აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების 50 წლისთავზე, სადაც მან წაიკითხა მოხსენება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობაზე და მასში დაცული აღმოსავლური ლიტერატურის შესახებ. ეს მოხსენება დაიბეჭდა ბერლინის ბიბლიოთეკის შრომებში რუსულ ენაზე.

1970 წელს ალექსანდრა კავკასიძე იყო ფინეთში საბიბლიოთეკო საქმის გასაცნობად.

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის, იდეოლოგიური მუშაობის ამ ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის ძირითადი ამოცანაა გასწიოს პროპაგანდა თავისი მდიდარი წიგნობრივი ფონდისა და ფართო მომსახურება გაუწიოს რესპუბლიკასა და მის გარეთ მრავალმილიონიან მკითხველს.

ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება ბიბლიოთეკის 9 დიდი და ნათელი სამკითხველო დარბაზი, სადაც ერთდროულად ხდება 800-ზე მეტი მკითხველის მომსახურება. დღის განმავლობაში, დილის 9-დან ღამის 11 საათამდე ბიბლიოთეკა იღებს 3.000-მდე მკითხველს და გასცემს 10.000-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს.

ბიბლიოთეკის ფართო და ნათელი დარბაზების სისტემატური სტუმრები არიან როგორც ჩვენი მომავალი თაობა — მოსწავლეები და სტუდენტები, ისე მშრომელები, ყველა დარგის სპეციალისტები, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი.

ცოდნისა და სიბრძნის ამ ნათელ კერაში 300-მდე თანამშრომელია. ეს გამრჯე ადამიანები მუდამ ხალისით, გულისყურითა და ცოდნით უჭრიალებენ გარს მკითხველს. ამიტომ არის, რომ მაღლიერი მკითხველიც უღრმესი პატივისცემით არის გამსჭვალული ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივისადმი, რომლის რიგებშიც არიან ჩვენი ბიბლიოთეკის მესვეურნი, მისი ავისა და კარგის მომსწრენი, 50 წლის მანძილზე მის კედლებში მკითხველებზე ზრუნვაში გათვრებულნი, მრავალი თაობის აღმზრდელნი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარები მერი მელაძე, ამჟამად ანბანური და რეალური კატალოგების განყოფილების გამგე და ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოგრაფი ნიკოლოზ აკვრმანი.

ბიბლიოთეკის არქივში და შთაბეჭდილებათა წიგნში დაცულია მრავალი გამოჩენილი პიროვნების, როგორც თანამემამულის, ისე საზღვარგარეთელი სტუმრის მადლიერების გრძნობით აოსავსე წერილები.

ციალა ჩიკვაშვილი,
უცხოური ლიტერატურის განყოფილების გამგე.

ᲬᲘᲠᲐᲒᲛᲔᲑᲖᲔ: „ᲕᲔᲤᲮᲘᲡ-ᲧᲐᲧᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲮ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ. ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲔᲚᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲥᲕᲜᲘᲛ — ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ (ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲘ), ᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ, ᲩᲔᲮᲣᲠᲘ, ᲤᲘᲜᲣᲠᲘ, ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ, ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ (ᲐᲠᲘᲖᲐᲚᲘ), ᲠᲣᲛᲘᲜᲣᲚᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ VI ᲛᲘᲔᲠ 1709 ᲬᲚᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ „ᲡᲐᲯᲗᲝᲕᲘᲪᲣᲚᲝᲛᲝ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲜᲐ“.

იმედი

ნოველა

ერთი წლის წინათ რედაქციაში მოვიდა სამოცდაათს გადაცილებული საშუალოზე მაღალი, განიერ მხრებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი. მოკრძალებით შემოვიდა.

უამით მოთელილი ხაბდის ქუდი ორივე ხელით ეჭირა და ხრესდა — ოდნავ, ფრთხილად. ორივე ხელი უთრთოდა. არა, სიძაბუნითა და მოძალებული ასაკით კი არა — ღელავდა. მზით დაქარულ პალტოზე, შეუკრავი რომ ჰქონდა, სამიდან შუალა ღილი სამაღლოდ ეკიდა ძაფზე და ისიც ირხეოდა.

დაჯდომა ვთხოვე.

სკამი მორიდებით გადგა განზე, მაგიდიდან მოშორებით ჩამოჯდა. დაკოჭრილი ხელი ჯერ თეთრად გადაპენტილ, ასაკისათვის კადნიერად ჯაგრულა ქოჩორზე გადაისვა, მერე სუფთად გაპარსულ ღაყლაჟა ლოყებს დაუსვა, — ოდნავ რომ ჰქონდა ხანით დატალღული, თანაც მზემადლმორეული, — დალაქის ხელით საგულდაგულოდ ნასწორებ ულვაშზე გადაისვა და მარჯვენა მუხლზე გაშლილად დადო, მარცხენისაგან, ორივე ხელი ისე გამართა მუხლებზე, როგორც წინათ სურათების გადაღებისას იცოდნენ ხოლმე.

— მე, პატივცემულო, გიელაათ სანდროს მეძახიან, — დაიწყო დინჯად, და, ხმა რომ ვერ აიყოლია, ომახიანად ჩაახველა. მერე, ოდნავ დაყოვნების შემდეგ, სოფლის სახელი თქვა. — ჰოდა, ომი დაიწყო თუ არა, მაშინვე წამიყვანეს. დედაკაცსა შინ დაუტოვე: კარგა გამართული ვენახი, პლანზე მართულით გაჭიმული, ძროხა, ცხენი და... — ისევ დაყოვნდა, ისევ გადაისვა ულვაშზე ხელი, მერე ჭოჩორზე აიძძღვარა და კვლავ ადრე მიჩენილ ადგილს დაუბრუნა. — ერთი სიტყვით, კარგა გამართული ოჯახი დაუტოვე დედაკაცსა და ჩვიდმეტი წლის ბიჭსა... ორი მომდევნო გოგოც კი მყავდა, მაგრამ... იმათ არა ვთვლი.

— შვილი შვილია, გოგო და ბიჭი ვინ გაერთხანს იყუჩა...

— ჰო, დაიკარგა, მე ჩამოელ, ის კი გაჰქრა. — ისევ გაჩუმდა. კვლავ მოისვა ის ორი თითი. — ამბობენ, რომ თქვენ გაზეთში დაკარგულებს ეძებენო, — ფონს გავიდა.

— კი, ვეძებთ უგზო-უკვლოდ დაკარგულთ.

— ჰოდა, აი ჩამოელი, იქნება მაპოვნინოთ სადმე. ვინ იცის, იქნებ ცოცხალი იყოს, კაცნი ვართ?! — მოკლედ მოჭრა სათქმელი და კიდევ ამოიგმინა, ლამის კი არა, ნამდვილად ამოაყოლა გული.

— ვეძებთ, მაგრამ...

— არ ჩანან?!

— თითქმის... იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ მივაგნებთ ხოლმე ვინმეს ნაკვალევს...

— მე კი არაფერი... — მუხლებზევე დაისვა ხელები, თითქოს მოძალებულ ტეხვის გაუჩებას ლამობსო, — ჩემი თავი რა ბედენაა, გავუძლებ... ოღონდ, დედაკაცი... ჩემი დედაკაცი მენანება. თავდაპირველად მაგრობდა, მე მამხნევებდა კიდეც.. ეხლა კი ლოგინად ჩავარდა, თავის რატრატი გაუჩნდა... დღედაღამ ბიჭის ხსენებაშია. თავის დაზრდილ შვილიშვილებსაც აღარ იკარებს, გოგოებს ხო ვიღა ჩივის, ხელიდან მეცლება! — კიდევ დაყოვნდა, ისევ გადაისვა ხელი ულვაშზე, მერე ჭაღარას გადააყოლა, — ერთი, რა უნდა გკითხო...

— ბრძანე.

— იმ სამზღვარგარეთ ლობიო და კიტრი თუ იციან?

დავფიქრდი — წამით თვალი გადავავლე ევროპას, ორივე ამერიკას, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს და... აკადემიურ პასუხს, ალა-ალა, ოღონდ უსათუო პასუხი ვარჩიე.

— იციან, როგორ არ იციან.

— შენ აგაშენა ღმერთმა. იმი დედამ აიხირა, ბიჭს ამოზელილი ლობიო უყვარდაო, კარაქით შენელებული ოდოჟღერი, აი, ადრე ერთხანს იყუჩა...

— ჰო, დაიკარგა, მე ჩამოელ, ის კი გაჰქრა. — ისევ გაჩუმდა. კვლავ მოისვა ის ორი თითი. — ამბობენ, რომ თქვენ გაზეთში დაკარგულებს ეძებენო, — ფონს გავიდა.

— კი, ვეძებთ უგზო-უკვლოდ დაკარგულთ.

— ჰოდა, აი ჩამოელი, იქნება მაპოვნინოთ სადმე. ვინ იცის, იქნებ ცოცხალი იყოს, კაცნი ვართ?! — მოკლედ მოჭრა სათქმელი და კიდევ ამოიგმინა, ლამის კი არა, ნამდვილად ამოაყოლა გული.

— ვეძებთ, მაგრამ...

— არ ჩანან?!

— თითქმის... იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ მივაგნებთ ხოლმე ვინმეს ნაკვალევს...

— მე კი არაფერი... — მუხლებზევე დაისვა ხელები, თითქოს მოძალებულ ტეხვის გაუჩებას ლამობსო, — ჩემი თავი რა ბედენაა, გავუძლებ... ოღონდ, დედაკაცი... ჩემი დედაკაცი მენანება. თავდაპირველად მაგრობდა, მე მამხნევებდა კიდეც.. ეხლა კი ლოგინად ჩავარდა, თავის რატრატი გაუჩნდა... დღედაღამ ბიჭის ხსენებაშია. თავის დაზრდილ შვილიშვილებსაც აღარ იკარებს, გოგოებს ხო ვიღა ჩივის, ხელიდან მეცლება! — კიდევ დაყოვნდა, ისევ გადაისვა ხელი ულვაშზე, მერე ჭაღარას გადააყოლა, — ერთი, რა უნდა გკითხო...

— ბრძანე.

— იმ სამზღვარგარეთ ლობიო და კიტრი თუ იციან?

დავფიქრდი — წამით თვალი გადავავლე ევროპას, ორივე ამერიკას, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს და... აკადემიურ პასუხს, ალა-ალა, ოღონდ უსათუო პასუხი ვარჩიე.

— იციან, როგორ არ იციან.

— შენ აგაშენა ღმერთმა. იმი დედამ აიხირა, ბიჭს ამოზელილი ლობიო უყვარდაო, კარაქით შენელებული ოდოჟღერი, აი, ადრე ბიის შემდეგ, — პასუხი რო აღარ მოვა, ი დედაკაცი გათავდება კიდეც, იმედს გადაწუვეტინებს, იმედის გადაწუვეტა კი ორივესათვის სიკვდილია. ისევ ისა სჯობია, რომა... ვაუკაცურად დაღუპულად ვიგულო და დედაკაცსაც ეგრე უთხრა — სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემულა-მეთქი! მოიკვეთოს, რაც მოსაკვეთია. რას ვიზამთ, მარტო ჩვენ ხო არა ვართ!

— ნება თქვენია, როგორც გენებოთ.

— ჰო, ეგრე მირჩევნია, მეცა და ჩემს დედაკაცსაც. აღარ მინდა, პატივცემულო, თქვენი გეძებთ და გელოდებით. რა მაქნისია შვილი, რომელსაც დედ-მამა ეძებს, ის კი სადღაც ბაიყუშივით გატრუნულა. ეგეთი შვილი ჩვენ არ გაგვიზრდია. — მხნედ წარმოთქვა მოხუცმა და მტკიცედ წამოდგა, პალტო ჩაიცვა, ნაბდის ქუდი გაშალა, ჯერ დაიხურა, მერე ისევ მოიხადა, ხელი ჩამომართვა და ოთახიდან გავიდა...

...ორი დღის შემდეგ ის კაცი კვლავ შემოვიდა ჩემთან. ამჯერად როგორღაც მოტეხილი მეჩვენა, ის ჭაბუკური ცეცხლი გაჭრობოდა, თვალებში რომ უკრთოდა. მხრებშიც უფრო მოხრილი ჩანდა, აღარც წვერი ჰქონდა გაპარსული, ის მესამე ღილიც ასწუვეტოდა.

— პატივცემულო... სოფელში რო ჩავედი, დედაკაცი ბაღჩაში გამოსულიყო და ახლად ამოღერილ ლობიოს ჩასცუქნოდა, საცაა ყვაილს გამოიტანსო. ყუდრო და მზიანი ადგილი გვაქ, უველაფერი ნაადრევი იცის. ი ლობიო კია, გითხარით, რისთვისაც უხარიან... ჰოდა, ქვემოდამ ამომხედა უსიტყვოთა და ველარაფერი უთხარი... იმედის მოშლა ვერ გავბედე. უთხარი, რომა გაზეთში დასწერენ-მეთქი...

— იყოს ნება თქვენი, გამოვაქვეყნებთ.

— არა, თქვენ ცუდად არ გამიგოთ. ჩემი შვილი მოღალატე არ იქნება, მაგრამ...

— იქნებ სადმეა?

— ჰო, იქნება დასახიჩრდა... ხელი ან ფეხი შემოსული დაჭურჭნული მარცვალი. ზედ კიტრს ატანდაო, ან შუშას, ახლად მოწუვეტილს, მიმჭნარი ყვაილი ზედვე რო აქვს ხოლმე, ანდა ახლად ჩამწნილებულს, ჯერაც სიმყავემოურეველს. აიხირა, ულობიოდ ვერ იცოცხლებსო. კარებწინა, ბაღჩაში, ლამის ვაზი გამაჩეხინოს და ლობიო მათესინოს — დანატრებული იქნება, უნდა დაუგროვოთო.

სანდროს ისევ მიეძალა ღელვა, მარჯვენა წარბმა დაუწყო თამაში.

— მაინც რატო ხმას არ იღებენ იმ თქვენ ვეძებთზე და გელოდებითზე? რაო, სახლ-კარი, საქართველო არ ენატრებათ?

— საქმე ის არის, რომ ჭართველი კაცი, საერთოდ ძნელად გუობს უცხო გარემოს. სადაც უნდა იყოს ჭართულ მიწაზე დაბადებული, როგორადაც უნდა ცხოვრობდეს, ავად თუ კარგად, გული მაინც აქეთ მოუწევს. ეს ჩვენი, ჭართველური თავისებურებაა. ამიტომაც არის, რომ ჭართველები იშვიათად ცხოვრობენ საჭართველოს გარეთ. ომით გადანაცვლებულთაგან, ვინც ცოცხალია და რაიმე მიზეზით უცხოეთში ჩარჩა, — ძალიან ცოტანი არიან, — იმათგანაც უმეტესობამ სამშობლოსთან კავშირი გააბა კიდეც. ვინც გაიტრუნა და შინისაკენ მოსაბრუნებელი პირი არა აქვს, ვინც ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მამულიშვილობას ეწინააღმდეგება, იმას ათასი რომ უძახოთო აქედან, ბასუხს მაინც არ გასცემს არავის. ზოგი ათასნაირი ოხრის ენას ამჯვა. შიშმა აიტანა, პროვოკაციების ანკესზე წამოეგო, ზოგმა, ძალიან ცოტამ, ცდუნებას ვერ გაუძლო და შინ პატიოსან შრომას. გარეთ „იოლი გზით“ არსებობა არჩია, გზა-კვალი აერია; ზოგიც, ისინი ბევრნი არ არიან, ფაშისტების ნასუფრალით იკვებებოდა ომის დროს... უმეტესობა კი, ვინც ჩვენს „დაგეძებენ, მოგელიანში“ ქვეყნდება, სამამულო ომის დროს გმირულად დაეცა სამშობლოსათვის გამართულ ბრძოლაში, კვალი ვერსად დატოვა და მოკეთე ნათესავებმა მათ შესახებ არაფერი იციან, იმიტომაც ეძებენ.

— მაშ თუ დაწერეთ და პასუხი არავინ გაგვცა, ბიჭი ცოცხლებში აღარ უნდა ვიგულო? — შეკრთა კაცი

— თუ იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთაც სამშობლოსაკენ მოსახედი პირი არა აქვთ და რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ძალიან ცოტანი არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი ვარაუდი სწორია.

— არა, ჩემი სისხლი და ხორცი არას იქმოდა ისეთს, რომ შინისკენ მოსაბრუნებელი პირი არ ჰქონდეს, ეგ არ შეიძლება! — მტკიცედ მოჭრა სანდრომ და თვალები უმაწვილკაცურად აუბრიალდა. — არა, ეგ არ შეიძლება!

— მაშინ, გამოვაცხადოთ... ყოველ შემთხვევისათვის...

— აღარც ეგ მინდა. აბა, რათ მინდა, ერთი წუთით მაინც ვიფიქრო, რომ ჩემი ბიჭი იცეთ რამეს ჩაიდენდა, რომ ბატრუნული იჭდეს სადმე და ჩემს განცხადებას ელოდებოდეს?! ამით ხომ იმის ვაუკაცურ ხსოვნას წვავდენ, მერედა, — დაიწყო ფრთხილად, ოდნავ დაფიქრდა... ომში დამახინჯდა... აი, ადამიანური გარეგნობა დაჰკარგა... ჰოდა, შინ ჩამოსვლა აღარ უნდა, ეთაკილება... შეიძლება ვინმემ შეიბიზნა, მიიკუნჭა, გორაზი ბიჭია და ხეიბრად აქ არ ჩამოიდოდა... შეყვარებული ჰყავდა და დღესაც გაუთხოვარი დარჩა, ის უვლის დედაკაცსა, იმის მეტს ახლოს აღარავის იკარებს. დაბერდა კიდეც. კუტად რო იყოს, უხელფეხო, ას წელიწადს იცოცხლოს, დედაკაცისა რა მოგახსენო, და... მეც ას წელიწადს ვიცოცხლებ იმის მოსავლელად, ცივ ნიავს არ მივაკარებ, ოღონდ კი... ჰო, დედაკაცს იმედს ნუ მოუშლით და დაწერეთ მაგ თქვენ გაზეთში... რაც იყოს-იყოს, დაწერეთ!

გაწყდეს ომის მამგონის ხინხილა, ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მთავრობა, რომელიც უველაფერს აკეთებს იმითვინა, რომა ომი არ იყოს ქვეყანაზე, კაცმა კაცი არ მოკლას... არ დასახიჩროს... ადამიანმა სიკეთე დათესოს და სიყვარული მოიმკას...

...დაწერეთ, რაც იყოს-იყოს! იმედს ნუ მოუშლით!

თავის დედაბერს გულისხმობდა ის კაცი, როცა „იმედს ნუ მოუშლით“-ს ამბობდა, მაგრამ ის იმედი მას უფრო სწუუროდა და იცოდა, რომ უიმედოდ მისი სიცოცხლე იცლებოდა, იწურებოდა, მას კი სიცოცხლესთან, ცხოვრებასთან მაკავშირებელი სიმის გაწყვეტა არ უნდოდა, არა! ეგრე ყოფილა მოწუობილი ადამიანი — ძალა ეცლება, გული კი ერჩის ადრინდებულად, ასაკსა და უამს არ ეპუება, ძალაობს, სიცოცხლესთან ჰიდილსა და მოყვრობას ლამობს...

* * *

განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი წელიწადი გავიდა. შემთხვევით სანდროს სოფელში ვიყავი გავლით და იქაური ჩემს მეგობარს მისი ამბავი ვკითხე.

— ცოლი ბარე ხუთი თვეც იქნება, რაც დამარხა. თითონაც რაღაც არეული ჩანს — გაზაფხულის პირზე კარებწინ ვაზი გაჩეხა და ლობიო დათესა, ჭკვათამყოფი ამას როგორ იქმოდა?

— ელოდება... — წარმოვთქვი ჩემთვის ჩაფიქრებულმა, თანამოსაუბრე კი ვერ მიმიხვდა და დანდობილად მომიგო:

— არა, ჭანზე კარგად არის, იმას სასიკვდილო არაფერი სჭირს, ოღონდ როგორღაც უცნაურად დასთათანებს იმ ლობიოს... სასიკვდილო არაფერი უჩანს, სიკვდილის ლოდინი სულაც არ ეტყობა.

არა, ჩემო კეთილო, სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს ელოდება, შვილს ელოდება, ურომლისოდაც არარაა სიცოცხლე მამისა და დედის, რამეთუ შვილი, სისხლ-ხორცი არის ადამიანის სიცოცხლისა და არსებობის უწმინდესი ხათავე, ცხოვრებასთან კაცურ-კაცობის მაკავშირებელი და მაცოცხლებელი ძარღვი — გავიფიქრე ჩემთვის, მეგობარს კი აღარაფერი ვუთხარი, ჩემი გზა განვაგრძე.

გივი კარბელაშვილი

ვახტანგ ძნელაძე

პოეტი ვახტანგ ძნელაძე დაიბადა 1925 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში. ერთი წლის ვახტანგმა ავადმყოფობის შედეგად მხედველობა დაკარგა.

უსინათლო ბიჭუნამ მაინც შეიყვარა წიგნი. 1934-42 წლებში სწავლობდა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. 1947 წელს საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა, ხოლო 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი — წარჩინების დიპლომით.

1953 წლიდან დღემდე უსინათლოთა ლიტერატურის რედაქტორად მუშაობს. აქაც ჩვეული გულმოდგინებით უძღვება საქმეს, რისთვისაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ვახტანგ ძნელაძის ლექსები 1947 წლიდან სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. იგი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი წიგნები „მზეს გაუმარჯოს“, „სიყვარული მეძახის“, „ფრთები“, „მხოლოდ შენ ერთს“. ბავშვებისათვის გამოსცა საყმაწვილო ლექსების კრებული „ერთი პატარა მანანა“. გამომცემლობა „ნაკადული“ მალე დასტამბავს მის კიდევ ერთ საყმაწვილო წიგნს...

„სამშობლოს“ მკითხველები ვახტანგ ძნელაძეს უკვე იცნობენ ლექსით „დაგეძებენ, მოგელიან“. ამჯერად გთავაზობთ პოეტის კიდევ ორ ლექსს.

ვერ ერნაჭიკლე სამშობლოს ჭინსვლის

როგორც ტყისმცველი ბრაკონიერებს,
მე ვებრძვი ნისლებს, კაეშნის ნისლებს,
საქართველოს მზე მაღონიერებს
და მგზნებარებით სიმღერებს მივსებს.

სიკეთის დედამ, სინათლის დედამ,
მე შემართებამ ძუძუ მაწოვა,
ავანთე შუქად მამულის დღეთა
ჩემი ფიქრი და ჩემი კაცობა.

მე წილად მერგო — ცხოვრების გზაზე
ვკაფო და ვჩეხო ეკალ-ბარდები,
ამიტომ, ბრძოლის ქარცეცხლით სავსე,
ჩემს ბედის ვარსკვლავს ვეკამათები.

ვიცი და მუდამ მემახსოვრება,
რომ გრიგალს გაჰკვეთს სულის სიმტკიცე,
და მინდა იყოს ჩემი ცხოვრება
მძაფრი პოემა მწუხრის სიკვდილზე.

ვლოცავ მარჯვენას, ხალხისთვის
მშრომელს,
რომლის დიდება საქვეყნოდ ისმის,
და, მეგობრებო, ვამაყობ, რომ მეც
ვარ მონაწილე სამშობლოს წინსვლის.

შილდელი მოხუცები

ჰქუხან შილდელი ორფეოსები,
ვფიქრობ ჰანგებზე საარაკოზე;
სამშობლოს გზები მოვრთე ოცნებით
ლომი ერეკლეს საფლავს ვაკოცე.

უბადლო ხმათა ალმური მთუთქავს,
ნამყოს გრიგალში ამონავლები;
ლოცავენ ერთგულ ხმალსა და გუთანს
„დედას ღვთანას“ შთამომავლები.

„მრავალჟამიერს“, „ზამთარს“, „ბერიკაცს“
ბერიკაციების ანთებს კრებული;
მათ დაძახილზე გრძნობით მღერის ქვაც,
ზღაპრის თილისმით აფეთქებული.

მათ მძლავრ გუგუნში გარდასულ დღეთა
დაუდგრომელი დენგმა გრიალებს,
და სამარიდან წამომდგართ ვხედავ
დევგმირებს, ჯაჭვის პერანგიანებს...

გვჩეხდნენ, რომ ჩვენი მოესპოთ ენა,
შთაენთქათ მთის და ბარის ბარაქა,
და რწმენამ, მკვდრეთით აღდგენის რწმენამ
ჩვენს სიმღერებში დაიბანაკა.

„არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა!“
სულში შემშვედა, გულში შემშვედა.
ეთერში ბადაგს ფანტავს კახეთი,
ბრძოლის და შრომის ხმათა ამხვეტი.

ქართული მზის და მიწის სურნელით
გათანგულია ჰანგი ხალხური,
და დაჭრის იგი, ძმობის მსურველი,
სიკეთისა და სიბრძნის მსახური.

ოქროს სიტყვებით — „აქამც მშვიდობა!“—
მთავრდება ჩვენი ჰანგი მრავალი,
და ნათელია, რაიც გვინდოდა,
რაც იყო ჩვენი ნატვრის ჯავარი...

ახლა მტრისათვის კარდახშულია
მხარე ნაბრძოლი გველეშაპებთან;
ცაზე ღრუბელი არ ჩანს სრულიად
და ყველაფერი მზეს ეწაფება.

მაშ, გაუმარჯოთ იმ ტკბილ სიმღერებს,
მტვრად რომ აქცევენ სიავდილს, სიბერეს!
ეს გაუმარჯოს შილდელ მხცოვანებს!
პურის მომყვანებს,
მზის ამომყვანებს,
რომელთა ცეცხლი ახალგაზრდული
ბოროტის ძლევის ჰიმნად ხმოვანებს.

ფალავნები...

როცა ჩვენი ფალავნები ჰიდაობენ, იმარჯვებენ და ტკბებიან ამ ლამაზი სპორტით, ჩვენ ბედნიერებით სახეგაბრწყინებულნი გვესალმებიან, ხშირად გულით ვხარობთ მათი წარმატებებით.

ჰიდაობა სპორტია, ადამიანთა დამეგობრების კარგი საშუალება, რასაც ქართველები კარგად ფლობენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები გუნდი საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონია. ჩვენმა ფალავნებმა ექვსჯერ ზედიზედ მოიპოვეს ეს საპატიო ტიტული. უფრო მეტიც, საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებს მოუგია ამხანაგური შეხვედრები თურქეთის, ირანის, ბულგარეთის, იაპონიის ნაკრებ გუნდებთან.

ზაურ შეყრილაძე და ზარიბეგ ბერიაშვილი, ნოდარ ხოსპიშვილი და შოთა ლომიძე, ტარიელ ალიბეგაშვილი და ლევან თედიაშვილი, ვლადიმერ მარშანია და ნოდარ მოდებაძე — ჰიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ეს ფალავნები საბჭოთა კავშირის მრავალგზის, აგრეთვე ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონები და პრიზიორები არიან.

ზაურ შეყრილაძემ, ზარიბეგ ბერიაშვილმა და შოთა ლომიძემ ეს-ეს არის მიატოვეს საჭიდაო ხალიჩა. ისინი გამოეთხოვნენ დიდ სპორტს და ჩვენ მადლიერებით გავაცილეთ.

ვინ შესცვლის მათ? არის თუ არა ჩვენი მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი კვლავ უძლიერესი? აი როგორი კითხვებით მივმართეთ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს — ილია ჩხარტიშვილს.

— მართლაც რომ კარგი ფალავნები გამოეთხოვნენ ხალიჩას. თითქოს ძალიან ძნელია მათი მემკვიდრეების პოვნა, მაგრამ მე და ჩემს კოლეგებს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ვახტანგ კუხიანიძეს, მიხეილ თიკანაძეს, შალვა ნოზაძეს, გიორგი როსტიაშვილსა და სხვებს ღრმად გვწამს, **რომ** საქართველოში მოჭიდავეები არასდროს გამოილევიან. გვაიმედებენ თუნდაც ახალგაზრდა ფალავნების როინ დობორჯგინიძის, როინ მარსაგიშვილის, ვლადიმერ მარშანიას დადებული შედეგები. — გვითხრა უფროსმა მწვრთნელმა.

ამას წინათ ჩვენი ნაკრები გუნდი იაპონიას ეწვია. იქაური ფალავნები მსოფლიოში აღიარებულნი არიან. ორივე მხარე საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის. ჩვენს ფალავნებს სამი ნაკრები გუნდი გამოუყვანეს. ფაქტიურად ეს იყო იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრების სხვადასხვა ვარიანტები. ქართველმა ფალავნებმა გაიმარჯვეს ჩიბაში 5:3, კასამაში — 7,5:1,5, ტოკიოში — 5,5:3,5.

კარგი ჰიდაობის თაყვანისმცემელი იაპონელები აღტაცებულნი იყვნენ ქართველი ფალავნების უბადლო ოსტატობით. ამის შესახებ წერდა იქაური პრესაც.

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლევან თედიაშვილი და როინ დობორჯგინიძეც ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ტოლიდოში არიან, როგორც საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრები და მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს თასის გათამაშებაში. ამიერიდან ეს საინტერესო ტურნირი ოთხ წელიწადში ერთხელ მოეწყობა, ოლიმპიადის მომდევნო წელს ასპარეზობაში მხოლოდ ის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც თავს გამოიჩენენ ოლიმპიურ თამაშებში.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა თავისუფალ ჰიდაობაში დაამარცხა მასპინძელთა ნაკრები 16:4;

ფინალურ მატჩში ოლიმპიური ჩემპიონების — ლევან თედიაშვილისა და ამერიკელი ბინ პიტერსონის შერკინება თბილისელის გამარჯვებით დამთავრდა. ლევან თედიაშვილი ამჯერად მაღალ წონით კატეგორიაში გამოდიოდა.

ლაშა გარეჯელი



სპორტის ქრონიკა

ჰადრაკი

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი სახუჭარი მიიღეს — ამჟამად ჰადრაკის სასახლე. და აი ახალ სასახლეს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე ქალებმა მოაშურეს, რათა მონაწილეობა მიეღოთ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. საქართველოს ღირსებას ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან ერთად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ნინა ალექსანდრიაც იცავდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი ნონას ერგო, მეორე-მესამე ადგილი კი ნინა ალექსანდრიამ და ნინა კონოპლიოვამ გაიყვეს.

ჩოგბურთი

მცირე საკავშირო ჩემპიონატი უწოდეს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირს, რომელიც თბილისში გაიმართა. ალექსანდრე მეტრეველი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და პირველი ადგილი მოიპოვა. ტურნირში ტრავმის გამო ვერ მონაწილეობდა ქვეყნის ჩოგანი თეიმურაზ კაკულია. სპეციალისტთა აზრით, ფინალური ბრძოლა სწორედ ამ ორ ქართველ ჩოგბურთელთა შორის გაიმართებოდა.

ჰიდაობა

მადრიდში გამართულ ძიუდოისტთა ასპარეზობაში, სადაც ფალავნები ერთმანეთს ევროპაში უძლიერესის სახელს ეცილებოდნენ, თავი ისახელეს საქართველოს წარგზავნილებმა. პირად პირველობაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს **შენგელი ფიცხელაურმა** და **შოთა ჩოჩიშვილმა**. საქართველოს წარმომადგენლებმა თავიანთი სიტყვა თქვეს გუნდური ასპარეზობის დროსაც. საბჭოთა გუნდი, რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია და მეშვიდედ მოიპოვა კონტინენტზე უძლიერესის სახელი, შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: თბილისელები შენგელი ფიცხელაური და გურამ გოგოლაური, მაიკოპელი ვლადიმერ ნევზოროვი, მოსკოველი ევგენი სოლოდუბინი და კიეველი სერგო ნოვიკოვი.

ტანვარჯიში

ფრუნზეში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ვაუთა შორის ბადალი არ ჰყავდა თბილისელ **ვახტანგ კევლიშვილს.**

ფეხბურთი

გასულ ორ კვირაში თბილისის „დინამომ“ ორი მატჩი გამართა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და ორივეჯერ დამარცხდა: თუ მოსკოვის არმიელთა წინააღმდეგ თბილისელებმა შედარებით კარგად ითამაშეს და გამარჯვებული მხოლოდ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების შედეგად გამოვლინდა, მოსკოვის დინამოელებთან შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ინიციატივას ფლობდნენ სტუმრები, რომელთაც ჩვენების კარში სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

* * *

შარშან აგვისტოში დინამოელები დასავლეთ ბერლინში ცნობილ საკლუბო გუნდს „ჰერტას“ შეხვდნენ. მაშინ დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლაში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გავიდა ცხრა თვე და დასავლეთბერლინელი ფეხბურთელები თბილისს ეწვივნენ. რა თქმა უნდა, დინამოელები მინდორზე რევანშის წყურვილით გამოვიდნენ, თუმცა გამარჯვებისათვის მეტოქეებიც თავდადებით იბრძოდნენ. შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა, რაშიც „ბრალი“ მიუძღვით მეკარეებს ვოლტერსა და გოგიას.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა ტემპს უმატეს, უფრო გაშლილად შეუტიეს მეტოქის კარს და შედეგმაც არ დააყოვნა — 58 წუთზე კახი ასათიანმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე მანუჩარ მაჩაიძე, რომელმაც ძლიერად დაარტყა კარისკენ, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა, იქვე გაჩნდა დათო უიფიანი და ანგარიშიც გახსნა, ორი წუთის შემდეგ ისევ ასათიანმა მიაწოდა ბურთი უიფიანს, რომელმაც ფირუზ რეხვიაშვილს გადააწოდა და... ანგარიში ორამდე გაიზარდა.

დინამოელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს.

* * *

18 მაისს საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში შეხვდა ირლანდიის ნაკრებს, ირლანდიელთა წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ღირსებას სხვებთან ერთად იცავდნენ ნაკრების უცვლელი კაპიტანი **მურთაზ ხურცილავა** და განაპირა მცველი **რევაზ ძოძუაშვილი.**


შეხვედრა ანგარიშით 1:0 მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა და სათავეში ჩაუდგნენ მსოფლიოს მეათე ჩემპიონატის ევროპის ზონის მეცხრე შესარჩევ ჯგუფს.

26 მაისს ჩვენი ფეხბურთელები მოსკოვში გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან საფრანგეთის ნაკრებს.

●

გოლი!

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.



„პირველი სხივის“ ველი სხივი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს 25 წლისთავი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით „სამშობლოს“ კორესპონდენტი ესაუბრა წრის ხელმძღვანელს, პროფესორ ტარიელ კვანტალიანს. გთავაზობთ ამ ხაუბარს.

● **როგორ დაიბადა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე? ვინ იყვნენ მისი მაშინდელი წევრები?**

ის დღე მართლაც მშვენიერი იყო, ამიტომ შეგვიძლია ლამაზი ზღაპარივით დავიწყოთ: ერთ მშვენიერ დღეს, 1947 წლის სექტემბერში პირველად შეიკრიბა ეს წრე და გამართა თავისი პირველი სხდომა. ამას წინ უსწრებდა მოსამზადებელი სამუშაოები. საქმე ის არის, რომ ომის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტს დაუბრუნდა ბევრი ნაომარი ახალგაზრდა, რომელთაც თან მოიტანეს „დენთის სუნი“, ცხოვრებისეული გამოცდილება და ლიტერატურით გატაცება. სკოლის მერხიდან პირდაპირ უნივერსიტეტში მოხულთა შორისაც ბევრი აღმოჩნდა მწერლობით დაინტერესებული ჰაბუკი და ქალიშვილი. ეს კარგად შეუმჩნევია უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს აკადემიკოს ნიკო ჯეცხოველს და გადაუწყვეტია ამ ახალგაზრდების ლიტერატურულ წრეში გაერთიანება. ფიქრი საქმედ იქცა: რექტორმა შეგვკრიბა და თავისი განზრახვა გაგვაცნო, თანაც იქვე წარმოგვიდგინა წრის ხელმძღვანელი ბესარიონ ჯღენტი.

მაშინდელი წევრები? ბლომად ვიყავით. ეგებ ყველა ვერც ჩამოვთვალო, მაინც ვეცდები: არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, რეზო ჭაფარიძე, მაგალი თოდუა, ზურაბ ჭუმბურიძე, გიგლა ხუხაშვილი, ვახტანგ კეკელიძე, კარლო ჭორჭანელი, ხარგის ცაიშვილი, რეზო თვარაძე, ირაკლი არაბული, გიორგი ჩიქობავა, ეთერ ბასილაშვილი, ელისო ბილანიშვილი, როზა ფიქრიშვილი, გიორგი გელაშვილი, მედეა კვარაცხელია, ნაზი კილასონია, რეზო ინანიშვილი, მათ შორის მეც.

● **როგორც ჩანს, მაშინდელმა ახალგაზრდებმა იმედები გაამართლეს?**

ეგ რომ არ გითხრათ, წრეც აღარ იარსებებდა, ახალი წევრებიც აღარ შეემატებოდა. ზემოთ ჩამოგითვალეთ დამფუძნებელი წევრები, თორემ მერე და მერე შემომატებულნი ნაკლებ ცნობილნი და სახელიანნი როდი არიან: ბეჟან ბარდაველიძე, გელა გაბუნია, გივი გეგეჭკორი. ზაურ ბოლქვაძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, თამაზ ბიბილური, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ნოდარ გურეშიძე, მორის ფოცხიშვილი, რეზო ჭეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ნაა აბესაძე, ემზარ კვიტაიშვილი, დილარ ივარდავა, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, რეზო მიშველაძე, გურამ გოგიაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ნოდარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, კარლო ჭილარჯიანი, გივი ჯობაძე, ჭუმბერ თითმერია, გივი ალხაზიშვილი, ჭარჭი ფხოველი, შოთა ჭავთარაძე, ვანო ჩხეიძე, ბადრი ჭოხონელიძე, მაკა ჯობაძე, ავთანდილ გაფრინდაშვილი, ლაშა გახარია, ლაშა თაბუკაშვილი, ვაჟა ხორნაული... რომელი ერთი აღვნიშნოთ, მათ იმედები გაამართლეს კი არა, დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის 50 წევრამდე ამ წრეში არის გაზრდილი, ხუთი მათგანი მწერალთა კავშირის მდივანია; ზოგმა დაიმსახურა რუსთაველის პრემია, ზოგმა კომკავშირის სახელობისა; ბევრი მათგანი არის თანამედროვე ჟურნალებისა და გაზეთების რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, განყოფილებათა გამგე. ლიტერატურული მუშაკი. მათი პოეტური თუ პროზაული კრებულები, ცალკე წიგნები მრავლად დაიბეჭდა და იბეჭდება, მათი პიესები იდგმება ქართულ თუ სხვა ერების თეატრებში. მათი სცენარებით იღებენ ფილმებს... ერთი სიტყვით, ამ წრეში გაზრდილები წარმოადგენენ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის მთავარ ძალას. ამიტომ, დამეთანხმებით, რომ მათ იმედები კარგად გაამართლეს.

● **რა უძღვის წინ ალმანახს „პირველი სხივის“ გამოცხვლას. როგორ მიიღო ახალგაზრდა მწერალთა ეს კრებული საზოგადოებამ?**

„პირველი სხივის“ პირველი წიგნის გამოცხვლას (1950 წ.) წინ უძღოდა წრის მონდომებული მუშაობა. სხდომაზე ყიბილავდით წრის წევრთა ხაწარმოებებს, იყო კამათი, აზრთა ცოცხალი გაცვლა გამოცვლა, მახალები დაგროვდა. ისევ ნიკო კეცხოველმა გაგვახარა: ალმანახი გამოვცეთო. „პირველ სხივადაც“ მან მონათლა. გვიან გავიგეთ, რომ ჭაბუკობაში მასაც უთანამშრომლია ახალგაზრდების ჟურნალში, რომელსაც სწორედ ეს სახელწოდება ჰქონდა, ის ხომ მწერალიც არის... რექტორის ამ წინადადებამ და ზრუნვამ ფრთები შეგვასხა. დავტრიალდით, მახალები წესრიგზე მოვაყვანეთ, ბესო ჯღენტმა გვირედაქტორა და... დაიბადა ალმანახი.

საზოგადოებამ იგი ძალზე გულთბილად მიიღო. მრავალი რეცენზია დაიბეჭდა თბილისისა და მოსკოვის გაზეთებში. გვაქებდნენ, მოსწონდათ ჩვენი ნაშემოქმედარი. ამიტომ ალმანახის მომდევნო წიგნები კიდევ უფრო უკეთესი გამოვიდა.

● **რამდენად საიმედოა დღევანდელი წრის თაობა, ვის გამოარჩევდით მათგან?**

საიმედო როგორ არ არის, წრე დღესაც ღონივრად მუშაობს. კარგი ახალგაზრდები გვყავს. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არა მარტო ჩვენი წრე, არამედ საერთოდ მწერლობა არის „ტურფა საბაღნარო“, რომელშიც „ერთი წავა და სხვა მოვა“... ეს ჩვენს წრეზე უფრო ითქმის, რადგან უნივერსიტეტში შემოსული ნიჭიერი კაცი ხდება ჩვენი წრის წევრი, იმუშავებს, გაიწაფება, დავუკაცდება, მერე უნივერსიტეტს ამთავრებს და მიდის. ის მიდის წრიდანაც, ეს ბუნებრივი მიმოქცევაა.

გსურთ გამოვარჩიო მათ შორის ვინმე? დაე ეგ გამორჩევა ხვალინდელმა დღემ თქვას.

საუბარი ჩაწერა

ჯემალ ქურხულმა

ᱫᱚᱞᱚᱠᱚᱨᱟ ᱯᱚᱨᱚᱥᱚᱛᱤ ᱡᱚᱢᱟᱣᱚᱛ ᱠᱟᱹᱢᱤ ᱥᱚᱢᱟᱹᱡ ᱥᱮᱱᱟ ᱠᱚᱢᱤᱴᱤ

**ᱱᱚᱶᱟ ᱫᱟᱣᱟᱭ ᱫᱚᱞᱚᱠᱚᱨᱟ ᱨᱮ ᱯᱚᱨᱚᱥᱚᱛᱤ ᱡᱚᱢᱟᱣᱚᱛ ᱠᱟᱹᱢᱤ ᱥᱚᱢᱟᱹᱡ ᱥᱮᱱᱟ ᱠᱚᱢᱤᱴᱤ ᱨᱮ ᱱᱚᱶᱟ ᱫᱟᱣᱟᱭ ᱵᱟᱦᱟ ᱢᱮᱱᱟᱭᱟᱱ ᱟᱠᱟᱱ ᱫᱚᱞᱚᱠᱚᱨᱟ